## საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №281

## 2016 წლის 23 ივნისი

## ქ. თბილისი

### „მთის განვითარების ეროვნული საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ოქტომბრის №536 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1**
„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მთის განვითარების ეროვნული საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ოქტომბრის №536 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/10/2015, 010110020.10.003.018922) შეტანილ იქნეს ცვლილება და მთის განვითარების ეროვნული საბჭოს დებულების:
**1. მე-8 მუხლის:**

**ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. დასახლების ნუსხაში შეტანის შემთხვევაში, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, საქართველოს მთავრობის დადგენილება, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრული სოციალური შეღავათების მიღების მიზნებისათვის, უნდა ამოქმედდეს გადაწყვეტილების მიღების მომდევნო საბიუჯეტო წლის დაწყებისთანავე.";

**ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:**

„4. საქართველოს მთავრობის დადგენილება, დასახლების ნუსხაში შეტანის თაობაზე „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრული სოციალური შეღავათების მიღების მიზნებისათვის, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, იმ დასახლების ნუსხაში შეტანის შემთხვევაში, რომელიც:

ა) ჰიფსომეტრიული სიმაღლის მიხედვით, მდებარეობს ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე ან მის ზევით;

ბ) მიეკუთვნება „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრულ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეს.".

**2. მე-15 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 15. გარდამავალი დებულებები

1. სამინისტრომ, 2015 წლის პირველ ნოემბრამდე, უზრუნველყოს „მაღალმთიანი დასახლებების ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის საბჭოსათვის წარდგენა.

2. ამ დებულების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი არ ვრცელდება 2015 წლის 30 დეკემბრის №671 დადგენილებით დამტკიცებულ „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში" 2017 წლის პირველ იანვრამდე ასახულ დასახლებებზე.".
**მუხლი 2**
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი